



5837/3-81/21 2 11062021

5837/3-81/21

11-06-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს  
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

1. როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ, გამოითხოვეთ თუ არა სააგენტოსგან ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონისათვის საადმინისტრაციო საქმიანობის განსახორციელებელი ლიცენზიის გასაცემად ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვლევული ინფორმაცია?
2. რა ინფორმაციას ფლობთ სააგენტოს, როგორც ლიცენზიის გამცემი ორგანოს, მხრიდან ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის სალიცენზიო პირობების შემდგომი მონიტორინგის განხორციელების თაობაზე? სამინისტროს მიეწოდა თუ არა აღნიშნული წარმოების მასალები?
3. ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში განვითარებული მოვლენების პარალელურად, როგორც კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ, დაავალეთ თუ არა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ადგილზე შეემოწმებინა პანსიონის სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, დღის წესრიგში დამდგარიყო პანსიონისთვის ლიცენზიის შეჩერების/ჩამორთმევის საკითხი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ანა ნაცვლიშვილი



**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,  
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030123206055221

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge  
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/9444**

**28 / ივნისი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი № 5837/3-81/21 წერილი (11.06.2021წ.), რომელიც ეხება ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს“ ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატს.

წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ უპატრონო და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონატის“ სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობები შემოწმებულ იქნა 2017 წლის 23 ოქტომბერს (შემოწმების აქტი № 1570-431) და 2018 წლის 30 აგვისტოს (შემოწმების აქტი № 1288-261). შემოწმების სედეგად დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების გამო, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000597 (2017 წელი) და № 001045 (2018 წელი). 2019, 2020 და 2021 წლებში ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს“ ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატის მიერ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში წარდგენილი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 25 ოქტომბრის №01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმა“. რაც შეეხება სალიცენზიო პირობების შემოწმების საკითხს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ „ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია შეამოწმოს ლიცენზიის მფლობელი, თუ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების დარღვევის შესახებ“. შესაბამისად, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს“ ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების შემოწმება დაიგეგმა და განხორციელდა (აქტი № ს/შ 787-246 (04.06.2021წ.)) მას შემდეგ, რაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ დაწესებულებაში ირღვეოდა 2014 წლის 15 იანვრის მთავრობის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000713. დარღვევების გამოსასწორებლად ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 4 ივლისამდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრძელებს მუშაობას ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს“ ჯავახეთის ქალაქ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში. გამოკვეთილი საჭიროებისა და ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, განიხილავს არასრულწლოვნების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან მზრუნველობის სხვა ალტერნატიულ ფორმაში გადაყვანის შესაძლებლობას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

თამილა ბარკალაია